ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№9(101)

სექტემბერი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ფრეზეთის სტუმრობდა

აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ფრეზეთის დასახლებას ეწვია და მოინახულა აშშ-ის დახმარებით აშენებული წყლის მომარაგებისა და შენახვის ახალი სისტემა, რომელიც 1000-ზე მეტ დევნილს სუფთა წყლით ამარაგებს და რომლის საშუალებითაც, დღე-ღამის განმავლობაში, საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი 100 ტონა სასმელი წყალი მიეწოდება მოსახლეობას.

დასასრული მე–7 გვერდზე

ფეხბედნიერ, წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლეს, მათ მშობლებსა და ახლობლებს ვულოცავ ახალ სასწავლო წელს!

ფეხბედნიერი, წარმატებული წელი მინდა გისურვოთ!

ახალი სასწავლო წლისათვის სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაში ირიცხება 1215 მოსწავლე, მათ აღზრდასა და განათლებას ემსახურება 68 მასწავლებელი. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის კარი პირველად შემოაღო და ჩვენი პირველკლასელი გახდა 104 მოსწავლე. ყველა პირველკლასელმა და პირველი და მეორე კლასების დამრიგებლებმა მიიღეს ბუკები. სკოლის ყველა მოსწავლემ უსასყიდლოდ მიიღო, ერთწლიანი სარგებლობით, შესაბამისი კლასის სახელმძღვანელო, პირველკლასელებს საჩუქრად გადაეცათ „დედაენა“.

გაგრძელება მე–2 გვერდზე

მშვიდობა გვქონდეს!

ნიქოზში ანიმაციური ფილმების მე–10 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა

5

მომავალი ჩვენია!

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ე.წ. დეპორტირებულებისა და აგვისტოს ომის საქმეებზე გადაწყვეტილებები მიიღო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიმდინარე წლის სექტემბრის დებატებზე განიხილა - „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I)“ (ე.წ. „დეპორტირებულების საქმე“) და “საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“ (ე.წ. „ომის საქმე“) საქმეების აღსრულების პროცესი და შუალედური რეზოლუცია/გადაწყვეტილება მიიღო.

დასასრული მე–5 გვერდზე

მოლოდინი — პოზიტიური დინამიკა

„გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10,4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით ეს წელი. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10,3%“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი.

„დღეს მინდა ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდო ინფორმაცია და ერთგვარი ანგარიში ჩავაბარო ბიუჯეტთან დაკავშირებით.

დასასრული მე–4 გვერდზე

ფეხბედნიერ, წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

პირველი გვერდიდან

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალაქ მცხეთის მერს, ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ნუგზარ თინიკაშვილსა და სხვა სტუმრებს, რომელთაც ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ჩვენს ბავშვებს.

გასულ წელს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა სამმა და ვერცხლის მედალზე ორმა მოსწავლემ. კოვიდპანდემიის გამო დაყოვნებული პროექტები განახლდა და ,,ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში გასული წლების საბაზო საფეხურის წარმატებით დაძლევის შემდეგ ლეპტოპი გადაეცა 4 მოსწავლეს. სკოლის კურსდამთავრებულთაგან სტუდენტი გახდა 42. მინდა, მივულოცო მათ სტუდენტობა საუკეთესო სურვილებით და მივმართო: თქვენს ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი და სწორად გესწავლოთ, გეშრომოთ და გეფიქროთ... როგორ საქართველოში ცხოვრებაც გსურთ, თავად უნდა ააშენოთ.

მიყვარხართ, მახარებს თქვენი სიხარული!

გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი პროექტი – რეაბილიტაცია გაუკეთდა გათბობის სისტემას, სრულად შეიცვალა საქვაბე, ხოლო მიმდინარე თვეში დასრულდა სკოლის სახურავის სრული რეაბილიტაცია.

2018 წლის მარტიდან ჩართულნი ვართ ,,ახალი სკოლის მოდელის" პროექტში. ჩვენი მასწავლებლების მიერ განხორციელებული საქმიანობა, კომპლექსური დავალებების, სასკოლო პროექტების განხორციელებისა და რეგიონულ და რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით სათანადოდაა შეფასებული საგნობრივი ექსპერტებისა და პროცესში ჩართული კურიკულუმის ქოუჩების მიერ. სკოლის 14 მასწავლებელს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ჩატარებულ რეგიონულ ფორუმში მონაწილეობისათვის გადაეცა ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სერტიფიკატი. ,,ახალი სკოლის მოდელის" პროექტის მიზანია, რომ ის, რასაც შეისწავლის მოსწავლე, არ დარჩეს მხოლოდ აკადემიურ სივრცეში და მის მიერ შექმნილი პროდუქტი იყოს ორიგინალური, საინტერესო, თვითმყოფადი.

სკოლა ჩართულია ბევრ საინტერესო პროექტში, რომელიც არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და საჭიროებაზეა აქცენტირებული. მათ შორის გამოვყოფდით რონდელის ფონდის ეგიდით ჩატარებულ ლექციებს, როგორც დისტანციური, ასევე პირდაპირი ფორმით. ლექციების გარდა სკოლას საჩუქრად გადაეცემა ჟურნალ ,,ჩვენი სამყაროს" ახალი ნომრები. დაინტერესებული მოსწავლეები ეცნობიან ჟურნალში განთავსებულ საინტერესო სტატიებს, ისმენენ ლექციებს და წლის ბოლოს ტარდება ტესტირება, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს.

წელს, პირველ ადგილზე გასულ მოსწავლეს გადაეცა ლეპტოპი, მეორე ადგილზე გასულს – მობილური ტელეფონი. დაჯილდოება ჩატარდა ქალაქ ბათუმში. დანარჩენი საპრიზო ადგილის მფლობელი მოსწავლეები იმყოფებოდნენ გორის სამხედრო აკადემიის ბაზაზე არსებულ საზაფხულო ბანაკში.

ბავშვთა საზაფხულო ბანაკი საფრანგეთში - Copain Du Monde ("მსოფლიოს მეგობარი") და პროექტის ქართული პარტნიორი: ფონდი Educare Georgia ჩვენი სკოლის მეგობარია. მიმდინარე წელს, სამწლიანი წყვეტის შემდეგ, ჩვენი სკოლის ოთხი მოსწავლე კვლავ გაემგზავრა საზაფხულო ბანაკში, საიდანაც შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დაბრუნდნენ.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) პროექტ "SHE's GREAT!"- ის ფარგლებში კვლავაც განაგრძობს ჩვენთან თანამშრომლობას. ვგეგმავთ ბევრ საინტერესო პროექტს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების პირობები

2022 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №419 დადგენილებით.

იმ პირებმა, რომლებიც თავიანთ ოჯახებთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მისაღებად უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

1. ერედვის, თიღვის, ახალგორის ან ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან აიღონ ცნობა იმის შესახებ, რომ თავიანთ ოჯახებთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობიდან აღებული ცნობა განცხადებასთან (მისაღებია ხელნაწერი სახით) და პირადობის მოწმობასთან ერთად წარადგინონ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში მისამართზე ქ. თბილისი ქავთარაძის ჩიხი 1. დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ასევე გორში (სტალინის ქუჩა 16, საკონტაქტო პირი ნანა ხუცინაშვილი, ტელ.: 595958052) და კოდაში (საკონტაქტო პირი მარინე ქრისტესიაშვილი ტელ.: 595958067). სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 5 სამუშაო დღეში მოამზადებს ცნობას იმის შესახებ, რომ განმცხადებელი 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

3. 2022 წლის 12 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 18 საათამდე გააკეთონ განაცხადი განათლების საინფორმაციო სისტემის პორტალზე, რომლის ელექტრონული მისამართია http://socreg.mes.gov.ge/login/ და აქვე ატვირთონ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა.

განაცხადის შევსების დეტალური ინსტრუქცია განთავსებულია ზემოთ აღნიშნულ პორტალზე.

განხორციელდა და მდგრადია სასკოლო პროექტი ,,სუფთა გარემო სუფთა აზრებია“ და მიმდინარე პროექტია ,,თქვი, არჯაკელო, ხვიარა, ქსანზე ვინ ჩამოიარა“. რომლის განხორციელებასაც წინ უძღოდა საინტერესო კვლევა. მოსწავლეებს ჰქონდათ გასვლითი აქტივობა ოძისის ერისთავების სახლ-მუზეუმში და წარმოადგინეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან ,,გაყრა“.

სკოლის ყველა თანამშრომელი მაქსიმუმს აკეთებს და გააკეთებს იმისთვის, რომ ჩვენს მოსწავლეებს ჰქონდეთ საუკეთესო პირობები განათლების მისაღებად. პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე და მოტივაცია, მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობა გვაძლევს სრულ საფუძველს ვთქვათ, რომ რეგიონის ყველაზე დიდი სკოლა ერთ-ერთი წარმატებულთაგანიც იქნება.

ირმა ტატიშვილი
წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა მოადგილე გელა შერმადინთან და სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორთან ნუგზარ პაპუნაშვილთან ერთად დევნილთა სამივე დასახლებაში (წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი) ახალი სასწავლო წლის დაწყების სამზადისი დაათვალიერა.

მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის დავით ნოზაძისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის ინიციატივითა და ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების შუამდგომლობით, ბაგა-ბაღების აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს, ასევე, წეროვნისა და ფრეზეთის სკოლების პირველკლასელებსა და პედაგოგებს ამერიკული საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით შეძენილი საყოფაცხოვრებო ნივთები გადაეცათ. ფრეზეთის სკოლის ბავშვებს კი, დამატებით, გადაეცათ სასკოლო ჩანთები და ნივთები.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა, მოადგილე გელა შერმადინმა და სკოლამდელ საააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა ნუგზარ პაპუნაშვილმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და კვლავაც თანადგომას დაჰპირდნენ.

მოლოდინი – პოზიტიური დინამიკა

გასული 7 თვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 10,3 %-ია

პირველი გვერდიდან

მანამდე, მინდა მოკლე შესავალი გავაკეთო. როგორც მოგეხსენებათ, პანდემიის შემდგომ, გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10,4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით ეს წელი. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა - 10,3%.

ასევე შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი. ასევე პროგნოზირებული იყო საქონლის ექსპორტის ზრდა დაახლოებით 13%-ით, ხოლო ტურიზმის აღდგენა, 2019 წელთან შედარებით, - 70%-ის ფარგლებში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ახალი რისკები შეიქმნა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ევროპისთვის. ჩვენ მაშინ გვქონდა მსჯელობა და, რომ არა ჩვენი სწორი პოლიტიკა, შესაძლებელია დღეს არა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ვარდნაც კი ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც დღეს მსოფლიოში.

ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს შემდეგი პარამეტრები: საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 3,1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 36%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს; ასევე მინდა ვთქვა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 1,6 მლრდ აშშ დოლარს, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 3-ჯერ მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ წლის პირველ კვარტალში 922 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს 62%-ით აჭარბებს; ასევე მინდა ვთქვა, რომ დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვები იანვარ-ივლისის პერიოდში გაზრდილია 21%-ით. ეს ნიშნავს, რომ წელს, პირველ 7 თვეში, კვლავ ორნიშნა, 10,3%-იანი, ეკონომიკური ზრდა გვაქვს.

ამიტომ, ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩვენ შევცვალეთ ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების წლიური პროგნოზებიც და განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები ითვალისწინებს შემდეგს: რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5% იქნება, ნაცვლად 6%-ისა; ფაქტობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი შეადგენს 10,5%-ს; ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი განსაზღვრულია 72,2 მლრდ ლარით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 6500 დოლარს აჭარბებს; ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იზრდება 1 266,0 მლნ ლარით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი იქნება, როგორიც გასულ წელს იყო.

„მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ძვირფასო მეგობრებო, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება და ეს ცვლილებები ორიენტირებულია 2 ძირითადი მიზნის მიღწევაზე. პირველი - ეს არის ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირება. აქვე, მინდა ძალიან მოკლედ მოგახსენოთ ამის თაობაზე. მოგეხსენებათ, რომ ნაერთი ბიუჯეტი დაიგეგმა მშპ-თან მიმართებით 4,4%-იანი დეფიციტის, ხოლო მთავრობის ვალის 51%-იანი ნიშნულის ოდენობით.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, წელს ჩვენ ვიღებთ ბიუჯეტით დაგეგმილზე 710 მილიონი ლარით ნაკლებ ვალს. ასეთი ძლიერი ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით და წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის მოცულობა შემცირდება მშპ-ის 40%-მდე, ნაცვლად 51%-ისა, რაც ასევე ძალიან კარგი მაჩვენებელია.

ამასთანავე, ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მშპ-ის 4,4%-დან მცირდება მშპ-ის 3,2%-მდე. დეფიციტი იქნება მხოლოდ 3,2%. დეფიციტისა და ვალის შემცირების პარალელურად, დამატებითი თანხები უნდა მივმართოთ ჩვენ, ერთი მხრივ, აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად და მეორე მხრივ, სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს პოლიცია, ჯარი, ინფრასტრუქტურა, საწარმოების დაფინანსება, სოფლის მეურნეობა, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, სპორტი.

საბოლოო ჯამში, მე მინდა ვთქვა, რომ ეს პროგნოზი და ტენდენციები გაგრძელდება. ჩვენი მოლოდინია, რომ ეს პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი გვექნება, როგორიც გვქონდა გასულ წელს. კიდევ ერთხელ მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ ასეთი ეფექტიანი მუშაობისთვის“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს მაია თინიკაშვილს მეუღლის

ზურაბ ილურიძის

გარდაცვალების გამო.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა მწუხარებით უსამძიმრებს ილურიძეების ოჯახს პატარა

საბა ილურიძის

გარდაცვალების გამო.

მშვიდობა გვქონდეს!



„მშვიდობა გვქონდეს!..

სხვა სიტყვები ვერ გამოვნახე მე-10, საიუბილეო, ფესტივალზე მისალმებისთვის; ეს - თითქოს- და საზეიმო- თარიღი უსატიკესი ომის "ინტერიერშია" განთავსებული; ომისა, რომელიც ქვეყანაზე ახლაც მიმდინარეობს - უსამართლობა, ნგრევა, დევნა, კაცის კვლა...

მშვიდობა გვქონდეს ყველგან, მშვიდობა გვქონდეს უკრაინაში!..

მოგესალმებით ფესტივალის მონაწილეებს, მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის, მხარდაჭერისთვის... ჩვენ შევიკრიბეთ, ფიქრისათვის, ქმედებისათვის, და არა ტკბობისა და მსუბუქ გართობისათვის!..“ – ასე მიესალმა ანიმაციური ფილმების მე-10 საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია, რომლის სახელსაც უკავშირდება ამ ფესტივალის დაარსება და პოპულარიზაცია.

2008 წლამდე, ნიქოზში მონასტერთან არსებული მცირე ზომის ანიმაციური ფილმების სტუდია მოქმედებდა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს მონასტრის ნაგებობებთან ერთად განადგურდა.

ომის შემდეგ, პოლონეთის საელჩოს, ადგილობრივი გუბერნიის, ევროპული ორგანიზაცია "KOBERM"-ის, იაპონიის საელჩოსა და ამერიკული ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრები"-ის დახმარებით ჯერ ანიმაციის სტუდია აღდგა, შემდეგ კი, 2009 წელს ამოქმედებული ხელოვნების სკოლისათვის ინვენტარის შეძენა მოხერხდა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სკოლას და შეკეთდა ნაგებობა. ხელოვნების სკოლის მუშაობისა და უცხოელ მეგობრებთან თანამშრომლობის დროს დაიბადა ნიქოზში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების იდეა და იგი 2011 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად იმართება, რომლის დამფუძნებელი და ორგანიზატორია ნიქოზის წმ. ალექსანდე ოქროპირიძის ხელოვნების სკოლა.

ნიქოზის ხელოვნების სკოლაში მოქმედებს: ხატვის, ქარგვის, ქორეოგრაფიის, ხალხური საკრავებისა და სიმღერების, საეკლესიო გალობის, ანიმაციის, ჩრდილების თეატრის, თოჯინების, მუსიკის, უცხო ენებისა და, კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი წრეები, ასევე კლდეზე ცოცვის, ე.წ. "მეკლდეურობის" წრე.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს სხვა ფესტივალებისაგან ის განასხვავებს, რომ იგი არ არის ჩვეულებრივი საკონკურსო ფესტივალი, სადაც ბოლოს ესა თუ ის გამარჯვებული ვლინდება. სანაცვლოდ აქ პრიორიტეტი ენიჭება ძველი შედევრებისა თუ ახლად შექმნილი ფილმების ჩვენებას. ღონისძიების დამსწრეები თანამედროვე მსოფლიოში ანიმაციის ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს ეცნობიან; ხვდებიან ცნობილ რეჟისორებსა და კინოხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებს. ანიმაციის ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის იმართება სემინარები და ოსტატობის გაკვეთილები.

დასასრული მე–6 გვერდზე

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ე.წ. დეპორტირებულებისა და აგვისტოს ომის საქმეებზე გადაწყვეტილებები მიიღო

პირველი გვერდიდან

აღნიშნულ დოკუმენტებში მინისტრთა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად რუსეთის ფედერაციისათვის ევროპის საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტისა, მოპასუხე სახელმწიფოს კვლავ რჩება გადაწყვეტილებების აღსრულების უპირობო ვალდებულება.

მინისტრთა კომიტეტმა სრული შემადგენლობით გამოუცხადა მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის სტრატეგიის შემუშავების იდეას, რაც შუალედური რეზოლუციის ტექსტშიც აისახა.

კომიტეტის სამდივნოს დაევალა წარადგინოს შესაბამისი შეთავაზებები და ხედვა განსახილველი საქმეების აღსრულების თაობაზე შემდეგ სხდომამდე, რომელიც 2022 წლის დეკემბერში გაიმართება.

ე.წ. „დეპორტირებულების საქმესთან“ დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ 2021 წლის ბოლოს ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელმოწერის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ არ გადაიხადა ევროპული სასამართლოს მიერ დაზარალებულებისთვის მიკუთვნებული თანხა - 10,000,000 ევრო.

მინისტრთა კომიტეტის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება განსაკუთრებით აზიანებს დაზარალებულთა ინტერესებს.

რაც შეეხება ე.წ. „ომის საქმეს“, მინისტრთა კომიტეტმა გამოთქვა ღრმა მწუხარება, რომ რუსეთის ფედერაცია, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, კვლავ არ აძლევს იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას მათ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობას და მოუწოდა რუსეთს, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები.

ამასთან, კომიტეტმა ხაზი გაუსვა სტრასბურგის სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევების სიმძიმესა და მასშტაბურობას და მკაცრად მოუწოდა რუსეთს, უმოკლეს ვადაში დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა აღმოიფხვრას დარღვევების ძირითადი საფუძველი და აღდგეს პირველადი მდგომარეობა, რაც, თავისი არსით, ქვეყნის დეოკუპაციას გულისხმობს.

კომიტეტი ზემოხსენებული საქმეების განხილვას მომდევნო სხდომაზე, 2022 წლის დეკემბერში დაუბრუნდება.

«აი ია»

საზეიმოდ დაიწყო ახალი 2022-2023 სასწავლო წელი ახალდაბის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნუგზრ ჩაბოშვილი). პირველ დღეს სკოლას ესტუმრნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, გამგებლის მოადგილე გელა შერმადინი, კომუნალური სერვისცენტრის ხელმძღვნელი ბონდო ყველაშვილი, უბნის რწმუნებული გელა ბალაშვილი, მოსწავლეთა მშობლები...

სტუმრებმა, ახალი სასწავლო წლის მილოცვასთან ერთად, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მოსწავლეებს და მასწავლებლებს.

განსაკუთრებით უბრწყინავდათ თვალები პირველკლასელებს. მათი გაოცებული, ინტერესით სავსე მზერა მზის სხივებს ჰგავდა... ისინი ცამეტნი არიან. ცამეტივეს გულთბილად, ხალისით, სიყვარულით შეეგება ქალბატონი გიული გაროზაშვილი – მათი პირველი მასწავლებელი...

ქალბატონი გიული, მთელი ცხოვრება, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ,'„აი იათი“ უღებს ცოდნის კარს პატარებს და „აი იათი“'უცისკროვნებს ბავშვობას პირველკლასელებს.

სწავლის დაწყებამდე პატარებისთვის ულამაზესი გარემო შექმნა საკლასო ოთახში სხვადასხვა დეკორაციებით, ფერადი ბუშტებით, სურათებით...

ძალიან საპატიო მისია აკისრია ქალბატონ ოლიას, როგორც პირველ მასწავლებელს. მან უნდა ასწავლოს ბავშვებს სწორი მეტყველება, მეგობრებთან და საზოგადოებასთან ადაპტაცია, წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, ლექსები და მოთხრობები, მათემატიკის, მუსიკის, ხელოვნების გაკვეთილები, სპორტულ ვარჯიშები... ყველაზე მეტად მაინც წიგნთან, ცოდნის მიღებასთან, კულტურისა და ზნეობის საწყის უნარ-ჩვევებთან, თავისი სოფელ-ქვეყნის სიყვარულის გაღვივებასთან ასოცირდება მისი ჰარმონიული მუშაობა პატარებთან, რომელთა სულები დაუწერელი სუფთა დაფაც არის... და რა სასიხარულოა, რომ ეს ყველაფერი ამ ქალბატონის საქმესა და ღვაწლში ყოველდღიურად აისახება გულმოდგინებით, მაღალი პროფესიონალიზმითა და ბავშვების უზომო სიყვარულით...

– ეს ჩემი სამსახური არ არის მხოლოდ... ბავშვების გარეშე ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია ცხოვრება... სკოლიდან სახლში მისულს ზოგჯერ მომნატრებია მათთან საუბარი და ურთიერთობა, – მითხრა ოლია მასწავლებელმა, რომელმაც სევდიანად, თუმცა სიამაყით დასძინა, რომ პატარებს, რომლებიც ახალგორში არ დაბადებულან და ბევრ მათგანს თვალითაც არ უნახავს ჩვენი თვალსამოთხე ქსნის ხეობა, მაინც უყვართ. არავინ ამბობს, რომ ფრეზეთიდან ან ახალდაბიდან არის... სიამაყით წარმოთქვამენ: მე ახალგორელი ვარ... ღმერთმა ინებოს, ახალგაზრდა თაობა მაინც დაუბრუნდეს თავის ფესვებს...

ოლია გაროზაშვილი – ახალდაბის საჯარო სკოლის მასწავლებელი მყარად დგას მომავალი თაობის პატრიოტული, ზნეობრივი აღზრდის იმ ლამაზ კართან, სკოლა რომ ჰქვია, პირველკლასელები რომ მიიჩქარიან... გავა წლები... მათ კეთილ საგზლად გაჰყვებათ ცხოვრების გზაზე ოლია მასწავლებლის დარიგება, მოფერება, გულის სითბო, უანგარო სიყვარული, თითოეული წვრილმანიც კი, რაც მათ კარგ მოქალაქეებად აღზრდას აუცილებლად წაადგება...

მუვიდობა გვქონდეს!

მე–5 გვერდიდან

ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეები ფესტივალის სტუმრებისათვის წარადგენენ ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ, თეატრალურ თუ ანიმაციურ ნამუშევრებს. ფესტივალს თან ახლავს კულტურული პროგრამა, სადაც მოწვეული სტუმრებისათვის იმართება კლასიკური თუ ხალხური სიმღერების კონცერტები, ეწყობა ექსკურსიები.

გარდა იმისა, რომ ანიმაციური ფილმების ფესტივალი ნიქოზი არის ანიმაციური ხელოვნების პოპულარიზაციისა და განვითარების ადგილი, 2008 წლის ომის შემდეგ მას ამ რეგიონისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება - იგი ნგრევის სანაცვლოდ, შენების, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და სიყვარულისაკენ მოწოდებაა!..

ევროპის ფესტივალების ასოციაციამ, საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, "ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზი"-ს 2017 წელს სამარკო ხარისხი EFFE მიანიჭა და ამგვარად,

„ივერიელების“ დაუვიწყარი ზაფხული

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ივერია“ (ხელმძღვანელი მაია ქურთაული) წლების მანძილზე წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალსა და კონცერტებზე. ანსამბლმა უკვე რამდენიმე თაობა აღზარდა და აზიარა ქართული ეროვნული ცეკვის დიდებულებას.

ანსამბლი მისი დამაარსებლის ვახტანგ ციმაკურიძის სახელობისაა.

ახლახან ქორეოგრაფიული ანსამბლი შაორის ახალგაზრდულ ბანაკში იმყოფებოდა. საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდებოდა არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით და მორგებული იყო ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე. მოცეკვავეებმა მართლაც დაუვიწყარი დღეები გაატარეს ბანაკში.

„გვინდა ანსამბლის სახელით, მადლიერება გამოვხატოთ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ყველა ორგანიზატორის მიმართ დაუვიწყარი დღეების, ზღვა ემოციების, შესანიშნავი აქტივობების და ბავშვების ამაღლებული განწყობისათვის“, – გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა მაია ქურთაულმა.

“ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზი” ევროპული ფესტივალების ნაწილი გახდა. ევროპული ფესტივალების ასოციაცია ისეთი ღონისძიებების გაერთიანებაა, რომლებიც მხატვრულ ხარისხზე დგანან და ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

წელს ფესტივალის გახსნის საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ახალგორის ბავშვთა ხალხური საკრავების ანსამბლმა “მომავალი თაობა” (ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა. მან ხაზი გაუსვა მეუფე ისაიას იმ დიდ ღვაწლს, რომელსაც იგი 1995 წლიდან ეწევა ეპარქიაში.

აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ფრეზეთს სტუმრობდა

პირველი გვერდიდან

შეხვედრა ბაგა-ბაღის შენობაში გაიმართა, რომელსაც მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი და მოადგილე გელა შერმადინი.

ქალბატონი კელი დეგნანი დაინტერესდა მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებით, ესაუბრა მათ ყოველდღიურ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, ხაზი გაუსვა ამერიკა-საქართველოს 30-წლიან პარტნიორობას და აღნიშნა, რომ ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს, როგორც მეგობარი ქვეყნის მიმართ, კვლავაც გაგრძელდება.

წარმატებულ მომავალს კარგი განათლება განაპირობებს...

ანა ხალიბეგაშვილი

დედისერთა ანა პატარაობიდანვე მოწესრიგებული, ბეჯითი, სწავლისა და ცოდნის მიღების მოყვარულია. წეროვნის მესამე საჯარო სკოლაში სიბეჯითით, გონიერებით გამოირჩეოდა. ძალზე აქტიური და ხალისიანი გოგონა ფლექსის გაცვლითი პროგრამით ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა სასწავლებლად და მეთერთმეტე კლასი იქ დაამთავრა...

„აქ ძალიან კარგი პირობებია განათლების მისაღებად და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად... – სწერდა დედას ანა, – მაგრამ ძალიან მენატრები შენც და ჩემი სკოლაც, მეგობრები... ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ...“

ამჟამად ანა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია და როგორც თვითონ ამბობს, მომავალ წარმატებას კარგი განათლება განაპირობებს...

არის, ასრულდა ოცნება!..“

ნატო გაროზაშვილი

ნატო გაროზაშვილმა ვერცხლის მედალზე დაამთავრა ახალდაბის საჯარო სკოლა და თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ნიჭიერი და მიზანდასახულიგოგონა აპირებს, კარგად კი არა, ძალიან კარგად დაეუფლოს თავის პროფესიას, ამისთვის ნებისყოფაც აქვს და მონდომებაც.

– ნატო, გაეცანი ჩვენს მკითხველს...

– დავამთავრე ახალდაბის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალზე...

– სადაური ხარ?..

– ახალგორელი ვარ, რა თქმა უნდა, სოფელ ქენქაანიდან...

– ახლა სად ცხოვრობ?

– ფრეზეთში. სამი წლის ვიყავი, როცა ჩემმა მშობლებმა სამი დაძმა ახალგორიდან წამოგვიყვანეს... სამწუხაროდ, არაფერი მახსოვს იქაური... თუმცა, როცა რაღაცებს ყვებიან, თითქოს მეც მახსენდება, ძალზე ბუნდოვნად... მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვიცი, „ვისი გორისა“'ვარ და რომ აუცილებლად დაბრუნდება ჩემი თაობა ქსნის ხეობაში...

– მეოცნებე ხარ?

– უფრო რეალისტი... ბოლო წლები იმდენს ვმეცადინეობდი, ოცნებისათვის აღარც კი მეცალა...

რომელ ინსტიტუტში ჩაირიცხე?..

– თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ფაკულტეტზე... თვალებს არ ვუჯერებდი, როცა წავიკითხე ჩარიცხვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ქულები მივიღე ეროვნულ გამოცდებზე... ძალიან ბედნიერი ვარ. ინსტიტუტიც ეს მეწერა პირველი და ფაკულტეტიც...

– დამატებით ემზადებოდი?

– მხოლოდ ინგლისურში... ბედნიერად ვთვლი თავს, ასეთი კარგი მასწავლებლები რომ მყავს. ინგლისურს მასწავლიდა ქეთი გამხიტაშვილი, ქართულს მაია მიდელაშვილი... მათაც ჩემსავით გაუხარდათ ჩემი მაღალი ქულები...

– სკოლაშიც კარგად სწავლობდი...

– დიახ, ვერცხლის მედალზე დავამთავრე, ჯერ არ გადმოუციათ...

– ნატო, რამდენმა დაამთავრეთ წელს ახალდაბის საჯარო სკოლა?

– ცხრანი ვიყავით... ძალიან კარგი კლასი გვქონდა. როცა პატარები ვიყავით, ვნატრობდი, როდის დავამთავრებდი სკოლას, ახლა თითქოს გული მწყდება... ვიცი, შეიძლება უფრო ლამაზი ეტაპი დაიწყოს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ თანაკლასელები სულ სხვაა, ერთად გავიზარდეთ...

– შენს თანაკლასელებზე მიამბე, სტუდენტებზე...

– ჩემი ყველა თანაკლასელი ძალიან კარგები არიან... ვიცი, მხოლოდ სტუდენტობით არ განისაზღვრება მომავლის სილამაზე... მთავარია, კარგი ადამინები ვიყოთ ჩვენს ქვეყანას გამოვადგეთ ჩვენი საქმიანობით...

– მართალი ხარ, მაგრამ რადგან ახალი სასწავლო წლის დაწყებას ეძღვნება ჩვენი გაზეთი, მოდი, სტუდენტებზე მიამბე...

საბა ქასოშვილმა ღვთისმშობლობისადმი მიძღვნილ ქართული ჭიდაობის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა



კიდევ ერთხელ გვასახელა საბა ქასოშვილმა. მან მარიამ ღვთისმშობლის დღესასწაულთან დაკავშირებით წილკანში მოწყობილ ქართული ჭიდაობის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

მომავალი იუნკერი

შოთიკო ქენქაძე

შოთიკო ქენქაძემ წეროვნის მესამე საჯარო სკოლა დაამთავრა. მომავალი პროფესიის არჩევაზე დიდხანს არც უფიქრია... ერთიანი ეროვნული გამოცდების და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა ტურების წარმატებით გავლის შემდეგ საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა და მომავალი იუნკერი სტუდენტი გახდა.

ვაჟკაცური პროფესიის არჩევანი და სტუდენტობა პირველად დედამ ხათუნა ბაშარულმა მიულოცა...

აკადემიაში მისვლისთანავე პირველკურსელებმა, მშობლების თანდასწრებით, ხელი მოაწერეს თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას და გაეცნენ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს...

ახალგორელი „მართვე“

გივი ციმაკურიძეს, პატარა ახალგორელ ბულბულს უკვე კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. ის ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ცნობილი „მართვეს“ მომღერალია. ახლახან ის წარმატები გამოვიდა ანსამბლთან ერთად „საქართველოს მუზეუმელთა ალიანსის“ პირველ ყრილობაზე თბილისში.

ნინო ახლოური

– მარიამ ქენქაძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო გიო პავლიაშვილი და ნინო ახლოური – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში...

– გიოს და მარიამის ფოტოები?

– არცერთს არ გვიყვარს ფოტოების გადაღება... და სიმართლე რომ გითხრათ, მგონი, არც მაქვს... სახელი და გვარები დავწეროთ – გიო პავლიაშვილი და მარიამ ქენქაძე. მჯერა, ისეთივე წარმატებული სტუდენტები იქნებიან, როგორებიც მოსწავლეები იყვნენ და წლების შემდეგ – მაღალი დონის პროფესიონალები... მერე ჩავსვათ ფოტოებიც (იღიმის).

– მადლობა,ნატო, წარმატებებს გისურვებთ ოთხივეს. ერთი სიტყვით როგორ დაახასიათებდი შენს მეგობრებს?

– ერთი სიტყვით ძნელია, გამიჭირდება... გიოს ძალიან უყვარს კითხვა... ნინო და მარიამი ძალიან კეთილები, მიზანდასახულები, ყოჩაღები არიან (იღიმის). თითოეულს ვულოცავ სტუდენტობას და წარმატებებს ვუსურვებ.

– არქეოლოგობა მოგწონს?

– დიახ, ძალიან, ისტორია მიყვარს და წარსული ამბები...

– რას ნატრობ?

– ვნატრობ, ჩემს პროფესიაში წარმატებული ვიყო... გულისგულში კი ახალგორში დაბრუნებას ვნატრობ... ჩვენი ფესვები იქ არის, ჩვენ აუცილებლად იქ უნდა ვიცხოვროთ და ავაღორძინოთ ჩვენი მხარე...

– რა გაიფიქრე, როცა ჩარიცხულთა სიაში შენი გვარი ამოიკითხე?

– აუუ... „არის, ასრულდა ოცნება!“ მე მეგონა, გულში ვთქვი და თურმე ხმამაღლა მითქვამს...

– ნატო, რა გიყვარს...

– ძალიან მიყვარს შინაური ცხოველები...

– რა არ მოგწონს.?

– ტყუილი, ტყუილს საშინლად ვერ ვიტანთ.

– რა ისწავლე მშობლებისაგან – ლია ჟამურელის და ემზარ გაროზაშვილისაგან?

– ოჯახში სამი დედმამიშვილი ვართ, მე შუათანა ვარ... ჩემი მშობლები ძალიან მშრომელი და ერთგული ადამიანები არიან... ეს ჩემთვის მაგალითი იყო მუდამ...

ორივენი მუშაობენ. სამივეს გვასწავლეს ოჯახის, ერთმანეთის სიყვარული, თანადგომა, სახლის საქმის ერთგულება, მოვალეობის გრძნობა ოჯახის, სკოლის, საზოგადოების წინაშე... ამ ყველაფერს პირადი მაგალითით გვასწავლიან... სწავლაზე არ დამჭირვებია მშობლების დაძალება (იღიმის).

– რა თვისებები სჭირდება წარმატებულ სტუდენტს?

– პირველ რიგში, საკუთარი თავის რწმენა, თვითდაჯერებულობა, ცოდნის მიღების სურვილი... შრომისა და სიკეთის ფასი ბავშვობიდან მომდევს და ვიცი, რომ ეს ყველაფერი მთავარია წარმატებისათვის...

– როდის გეწყება სწავლა, როგორ ემზადები?

– სიმართლე გითხრათ, არ ვემზადები, ან როგორ უნდა მოვემზადო. რაც მთავარია, ოცნება ასრულდა და ახლა დრო მიჩვენებს... მხოლოდ ერთს ვგრძნობ: ძალიან კარგად ვისწავლი, მივიღებ ყველა გამოწვევას დადებითად, რომ ჩემს პროფესიას კარგად კი არა, ძალიან კარგად დავეუფლო... ამის ნებისყოფაც მაქვს და დიდი სურვილიც...

საქართველოში, არდადეგებზე, ორ თვეში მიღებული სითბოთი და სიყვარულით ვსაზრდოობთ მომდევნო ათი თვე უცხოეთში

ლია გაბრიელაშვილი

ჟურნალისტი ლია გაბრიელაშვილი ახალგორის სოფელ კორინთაში დაიბადა და გაიზარდა... პატიოსანი, მშრომელი მშობლებისგან თავმდაბლობა, სიკეთე დაჰყვა ნიჭიერ და მზისგულა გოგონას... ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ახალგორის რაიონულ გაზეთში დაიწყო მუშაობა. მისი წერილები და საგაზეთო პუბლიკაციები მკითხველის ინტერესს და პატივისცემას იმსახურებდა... მალევე წავიდა ემიგრაციაში და ოჯახიც იქ შექმნა, ახალგორელ ბესიკ საბანაძესთან ერთად. ამჟამად ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში ცხოვრობენ და ქალ-ვაჟს ზრდიან შორს დარჩენილი საქართველოს სიყვარულით. როგორი ბავშვობა ჰქონდა, რა გზა გაიარა ემიგრაციამდე და როგორ ცხოვრობს მონატრებული სამშობლოს გარეშე, თავად ლია მოგვითხრობს ძალზე საინტერესოდ.

– მე დავიბადე სულისა და გულის სიმშვიდეში, იქ, სადაც ადამიანი თავისუფლებას გრძნობს; სადაც, თვალს რომ გაახელ, ხვდები, თუ რა არის ბედნიერება. სადაც ბობოქარი ქსნის სიო სასიამოვნოდ გელამუნება და ცდილობს ლამაზი დილის დასაწყისი გაუწყოს, სადაც მზეც და ცაც, წყალიც და მიწაც ისეთი ფერისა და გემოსია, სადაც არ უნდა წახვიდე, მუდამ გულში გყავს და გულით დაგაქვს მათი სიყვარული. აქედან იწყება ჩემთვის ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლოს სიყვარული.

ალბათ ამ საოცარ ბუნებაში დაბადებამ შემაყვარა მთები, სადაც ყველაზე ლაღი და თავისუფალი ვიყავი. ჩემმა ბავშვობამ სწორედ აქ, ქსნის ნაპირებზე გაიარა, არდადეგებზე კი ბებო-პაპასთან, დადიანეთში მიყვარდა წასვლა. თუ რამ არსებობს ჩემში ნათელი, ეს მათი დიდი დამსახურებაცაა, ჩემს მშობლებთან ერთად. მიუხედავად იმ პერიოდის გაჭირვებისა, ჩემი ბავშვობა მაინც სითბოთი, სიხარულითა და სიყვარულით იყო სავსე. თუ რამე სასიამოვნო მახსოვს, სწორედ ბავშვობის პერიოდს უკავშირდება.

შვილების აღზრდა-განათლებისთვის ყველაფერს აკეთებდნენ ჩემი მშობლები. პატარაობიდან ოცნებად მქონდა ოდესღაც ფოტოზე ნანახ თეთრ, ფითქინა უნივერსიტეტში სწავლა. მართლაც ცოდნის ტაძრად წარმომედგინა და არც შევმცდარვარ. სტუდენტობაც ფერადი და უდარდელი იყო, ბავშვობასავით.

ყველა პერიოდს თავისი ხიბლი აქვს. სკოლის დროს, ყველაზე ბედნიერი, ყველაზე ლაღი და უდარდელი ბავშვობით ცხოვრობ. ბავშვობა ანუ ყველაფერი კარგი და ლამაზი, ასეა ჩემს გონებაში აღბეჭდილი. სტუდენტობა ჩემი მშობლების, დების და ყველა მათი მონატრება იყო, ვისაც კი ჩემი გული იტევდა, თუმცა დაუვიწყარი და საინტერესო წლები იყო.

ამ თეთრი ცოდნის ტაძრის კედლებში ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანები დააბიჯებდნენ, ბედნიერებად და გამართლებად ვთვლი, რომ მათი ლექციების მოსმენა მომიწია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, პროფესიით ფილოლოგს გულმა რაიონული გაზეთისკენ გამიწია. თვალწინ მიდგას ჩემი პირველი ნაბიჯები და სადაც არ უნდა წავიდე, ყოველთვის ჩემს გულში ტკბილ მოგონებად, საუკეთესო რედაქტორად და თანამშრომლებად დარჩებიან ყველა. რა რთული და მძიმე პერიოდის გავლა გვიწევდა, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული და სითბო გვაძლებინებდა ამ ყველაფერს.

და... როცა მეგონა, იქ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი, ვაკეთებდი იმას, რაც ყველაზე მეტად მსურდა, მაშინ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ჩემი სამშობლოს გარეთ მომიწევდა ცხოვრება, მაგრამ... ასეც ხდება თურმე. დავემშვიდობე ჩემს საყვარელ საქმეს, ისე, რომ მე თვითონაც ვერ გავაცნობიერე... სამშობლოდან ძალიან შორს მომიწია ოჯახის შექმნა. მე და ჩემს მეუღლეს ძალიან ძნელი და რთული პერიოდის გავლა მოგვიწია მარტოებს, ახლობლებისგან მოწყვეტილებს, უცხო მიწაზე და ხალხში მყოფებს.

ყოველთვის მქონდა სურვილი დიდ ოჯახში ცხოვრების. მინდოდა, ჩემი შვილები უფროსების პატივისცემასა და სიყვარულში გაზრდილიყვნენ. მიუხედავად ასეთი დიდი სიშორისა, მაინც დიდი კავშირი და მსგავსება იყო ჩემს შვილებსა და „უცხო ნათესავებს“ შორის.

ასე მგონია, რაც არ უნდა უზრუნველი ცხოვრებით ცხოვრობდეს ადამიანი, ვერ იქნება ბედნიერი სამშობლოსა და თავისიანებს მოწყვეტილი. აქ ჩამოსვლის დღიდან საქართველოში დაბრუნების ფიქრი მიღრღნის გულს. მხოლოდ სიზმარში აღვიქვამდი ბედნიერებას, რადგან მუდამ ჩემს სახლში, მშობლების თბილ და ტკბილ კერაზე ვიყავი.

რა ფერია ან როგორია ბედნიერება? – ჩემი ბავშვობის ფერი, ჩემი მოგონებების ნაირი, ჩემი მშობლებისა და ახლობლების მსგავსი. მაშინ ხარ ადამიანი ბედნიერი, როცა, ვინც გულში გყავს, ხელისგაწვდენით შეგიძლია შეეხო, ჩაეხუტო, მოესიყვარულო.

მინდოდა ჩემების მონატრება და სიყვარული აქ ჩემს პატარა ოჯახზე გადამეტანა. მინდოდა ჩემს შვილებს უნახავი სამშობლო და ნათესავები შეჰყვარებოდათ. გამომივიდა!!! ყველაზე ლაღები და ბედნიერები საქართველოში არიან. უფრო მეტიც, ცის ფერს, ჰაერისა და მიწის სუნსაც კი ასხვავებენ. ორ თვეში შეგროვილი ახლობლების სითბო, სიყვარული და დაუვიწყარი დღეები ჩვენს გულსა და გონებაში ლამაზი მოგონებების ფერად მძივად იკინძება და ათი თვე ამით ვიკვე-

ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ვნახავ სახლს, სადაც გავიზარდე და უბედნიერესი ვიყავი...

ნათია ნიაური

ლაღი, ხალისიანი, ინტელექტუალური, სიკეთით სავსე ნათია ნიაური, არაჩვეულებრივი პედაგოგების, საუკეთესო ადამიანების – სოფიო ჯავახიშვილისა და ვალოდია ნიაურის ქალიშვილი გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში ცხოვრობს და დაწყებით სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.

– ბავშვობაში მეგონა, რომ მშობლები სულ ჩემ გვერდით იქნებოდნენ, არასდროს მომიკვდებოდნენ და უმწეოდ არ დავრჩებოდი. გავიზარდე საოცრად კეთილ, თბილ და ლამაზ ოჯახში. ძალიან ბეჯითი და კეთილი მშობლები გვყავდა მე და ჩემს დებს. უფლის საჩუქარია, იყო ასეთი მშობლების შვილი. არაფერს გვაკლებდნენ, დედა ძალიან აქტიური იყო... უდარდელი, ფერადი და მოფარფატე ბავშვობა მქონდა... მეხუთე კლასში დავიწყე გერმანული ენის სწავლა და მაშინ გადავწყვიტე, გერმანული ენის მასწავლებელი გამოვსულიყავი. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე პედაგოგიურზე გერმანული ენის სპეციალობით, დავასრულე ბაკალავრიატი და გერმანიაში წავედი.

– გზა საქართველოდან გერმანიამდე...

– ეს გზა ძალიან დიდი, ტკივილიანი და აგრეთვე წარმატებულიცაა. უკვე 20 წელზე მეტია, ჰამბურგში ვცხოვრობ. ჯერ ოპერგოგონად ვიყავი საოცრად კეთილშობილ ოჯახში, რომლებიც საქართველოშიც იყვნენ და დღეს მათ ჰამბურგში ჩემი ოჯახი ჰქვიათ. შემდეგ ჩავაბარე ჰამბურგის უნივერსიტეტში მაგისტრატურაში შემდეგ სპეციალობაზე: პედაგოგიკა, გერმანისტიკა და ფსიქოლოგია, რომელიც წარმატებით დავამთავრე. 1 წელი წარჩინების სტიპენდია მქონდა. 2008 წელს უნივერსიტეტში გამოიცა სახელმძღვანელო, სადაც ჩემი თემაცაა გამოქვეყნებული. ვმუშაობდი საემიგრაციოში უცხოელი მშობლების პროექტებში რეფერატად და ხელმძღვანელად. ამჟამად ვმუშაობ დაწყებით სკოლაში გერმანული ენის, თეატრის და ხელოვნების მასწავლებლად.

მყავს მეუღლე და ერთი შვილი – გიორგი ზანგური. 18 წლისას მეყოლა და ახლა მეგობრებივით ვართ, ის ჩემი სული და გულია.

არ არის იოლი უცხოეთში დამკვიდრება. სიმტკიცე, მიზანდასახულობა და გამძლეობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მყარად მოიკიდოს ფეხი უცხო ქვეყანაში.

ჩემი ყოველი დღე იწყებოდა დედასთან დარეკვით, მართლა ყოველი დღე... ახლა შევხედავ ჩემი მშობლებს სურათს და თვალს ბოლომდე ვერ ვუსწორებ... მერე კი სკოლაში მივდივარ და ვცხოვრობ ასე. იოლი არ არის ნოსტალგიასთან ბრძოლა... სიზმარში მხოლოდ იკოთს ვხედავ. რაც დედა აღარაა ამ ქვეყნად, ხშირად მესიზმრებიან ჩემი მშობლები და მხოლოდ იკოთი. ეს ჩემი ტკბილი და დაუვიწყარი მოგონებებია, რაც მე ახალგორსა და იკოთს მაკავშირებს. მართლა ვიმედოვნებ, რომ როდესღაც ვნახავ სახლს, სადაც გავიზარდე და მოვეფერები ყველა კუნჭულს. ეს ჩემი დიდი ტკივილი და ასევე დიდი სიყვარულია, რამაც სიძლიერე შემძინა. უზომოდ მენატრება ჩემი უბანი, ეზო... მე და ჩემი თანატოლები ნუგზარ ფსუტურის სიმღერით ვართ გაზრდილები.

თუ რამეს ვნატრობ, ვნატრობ იკოთის ეზოს და სახლის ნახვას. ის ქვები მენატრება, მუხლებს რომ ვიმტვრევდი, შოთას წყარო, მუსიკიდან მომავალი რომ დავეწაფებოდი და ხელის გულიდან წყალს ვსვამდი ჩემს მეგობარ ნანა გიგაურთან ერთად (42 წელია, ვმეგობრობთ, საბავშვო ბაღიდან). მენატრება ჩვენი თხილიხ ხეები იკოთში სახლის წინ ბაღში, ჩვენი სახელები რომ ერქვათ: ნათია, თეა და ია... ფუტკრების სკები და ხასხასა ბალახი ეზოში...

– ნანობთ ემიგრაციაში წასვლას?

– ვნანობ... თითქოს ორად გავიხლიჩე...

– სიკეთე გინანიათ?

– არასოდეს! როდესაც თეკლას გაცისკროვნებულ თვალებს ვუყურებ, ყოველთვის ბედნიერი ვარ (ავტორისაგან: ახალგორელი თეკლას სამკურნალოდ ნათია ნიაურმა სოლიდური თანხა მოიძია გერმანიაში).

– რა არ მოგწონთ?..

– სხვებზე ცუდის თქმა.

– რის გეშინიათ?..

– მას შემდეგ, რაც მშობლები აღარ მყავს, მეშინია, სიკვდილმა აღარ წამართვას ახლობელი... ძალიან ცუდი პერიოდია ახლა ჩემთვის, დედა ცოტა ხნის წინ გარდამეცვალა...

– რას მალავთ?..

– ტკივილს და ცრემლს...

– საქართველო...

– საქართველო ჩემთვის არის ჩემი სამშობლო და „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

ბებით. იმის იმედი გვაძლიერებს, რომ ზაფხულში ისევ გველოდება ბედნიერი დღეები.

საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს, ხშირად მიფიქრია: „ღირდა კი ყველაფერი ამად? სამშობლოს, ჩემებისა და ჩემი ქართული ყოველდღიურობის დატოვება?“ თუ ჩემთვის არა, ჩემი შვილებისთვის ხომ ღირს? ადამიანი კი პირადულზე წინ შვილებსა და ოჯახს აყენებს ხშირად, თუ ყველაფერი ერთად არაა.

წამოსვლამდე დედასთან საუბარი მახსოვს. ასეთი რამ მითხრა: ,,ოჯახი ორი ადამიანის ერთობაა, ოჯახის შექმნის, სიმყარისა და წინსვლის გამო არავის პატიოსანი შრომის არ უნდა ეთაკილებოდესო!“

ასეთია ემიგრანტის ცხოვრება – სადაც არ უნდა წახვიდე, როგორც არ უნდა იყო, ყოველთვის რაღაც გაკლია. თითქოს იმ იმედით იღვიძებ, რომ ერთი დღით მიგაახლოვა ცხოვრებამ სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ხვდები, რომ ეს დღე ჯერ მაინც ვერ დადგა. თუმცა, იმედი არ იკარგება, მით უმეტეს, აქ დაბადებულ ქართველთა თაობას რომ ვუყურებ, გული სითბოთი მევსება, თუ როგორ უყვართ ერთმანეთი იმიტომ, რომ ქართველები, ერთი ჯიშისანი არიან, უყვართ თავიანთი მონატრებული სამშობლო.

საქართველო ესაა „დედამიწის პატარა სამოთხე“ ამ უზარმაზარ სამყაროში.

სიმშვიდე და სიხარული ჩვენს ბავშვებს!

ახალი სასწავლო წელი ხალისიანად დაიწყეს ფრეზეთისა და წილკნის საბავშვო ბაგა-ბაღებმა. ფრეზეთში უკვე მესამედ იზეიმეს ახალი სასწავლო წლის დაწყება ულამაზეს და კომფორტულ შენობაში...

როგორც მისმა ხელმძღვანელმა **მარიკა გოჭაშვილმა** გვითხრა, აქ 23 აღსაზრდელი მოვიდა პირველ დღეს... სკოლამდელი დაწესებულება ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა პატარებს, რომლებმაც მშობლიური გარემო აღმზრდელ პედაგოგებთან ერთად კიდევ უფრო გაალამაზეს მხიარული განწყობით.



ასევე მომზადებული შეხვდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას წილკნის საბავშვო ბაგა-ბაღი. ხელმძღვანელმა **ეკა დაუდაშვილმა** გვითხრა, რომ 46 აღსაზრდელი მივიდა პირველ დღეს და საზეიმო ვითარებაში დაიწყო ახალი სასწავლო წელი... 16 კვალიფიციური და ბავშვების მოყვარული თანამშრომელი წარმართავს მათი სწავლა-აღზრდის პროცესს.

ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ საზეიმო დღეს აღნიშნულ სკოლამდელ დაწესებულებებს ეწვივნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, გამგებლის მოადგილე გელა შერმადინი, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელი ნუგზარ პაპუნაშვილი, კომუნალური სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი ბონდო ყველაშვილი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს აღსაზრდელებსა და თანამშრომლებს.

ნინო ჭურთაული და თამარ თამარაშვილი აღსაზრდელებთან

ნათია ზაქაიძე და ეკატერინე მგლიშვილი აღსაზრდელებთან